საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1475

2013 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქვემო ქართლში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის დაფინანსების თაობაზე

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქვემო ქართლში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის დაფინანსების თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყოს კონსულტაციები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ქვემო ქართლში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ბ. ივანიშვილი**